30/03/2020 N 3757

დამატებითი შეთანხმება

2019 წლის 20 დეკემბრის 60-7-219-5609 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მხარეები:
ერთის მხრივ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში -„შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „გაგუ" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გაგუას სახით;

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მხარეთა შორის 2019 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა N60-7-219-5609 ხელშეკრულება "Megger"-ის ფირმის სატესტო მოწყობილობის SMRT მოდელის დამოწმება-დაკალიბრების მომსახურების შესყიდვაზე. მიმწოდებელმა დაკალიბრების მიზნით ხლსაწყო გააგზავნა მწარმოებელთან (აშშ-ში). მწარმოებლის მიერ სატესტო ხელსაწყოს შემოწმების შედმეგ მოწყობილობას აღმოაჩნდა ისეთი დაზიანებები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული სსე-ს მიერ შედგენილ სადეფექტო აქტში. ხელსაწყოს აღმოაჩნდა დამატებით დაზიანებები, რომლის გამოსწორბამდე „მიმწოდებელი" მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს N60-7-219-5609 ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ მოწყობილობის დაკალიბრება. შპს „გაგუმ" მწარმოებელთან დააზუსტა დაზიანების ფასი და ამასთან აღმოჩნდა, რომ თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოდენობას აღემატება 10 %-ზე მეტით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მდგომარეობასთ მისადაგების პირობებს. მიმწოდებელს ამ დროისათვის გაწეული აქვს ტრანსპორტირების ხარჯი ასევე მოკლებულია შესაძლებლობას გასწიოს N60-7-219-5609 ხელშერკულებით გათვალისიწნებული მომსახურება. ყველა ზემოხსენებულიდან გამომდინარე საჭიროებას წარმოადგენს გაიზარდოს ხელშერკულების მიწოდების და მოქმედების ვადა, რაც მხარეებისთვის არ იწვევს რაიმე სახის უარყოფით შედეგს ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა ფორმით.

2019 წლის 20 დეკემბერს N60-7-219-5609 ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1 პუნქტის, შემსყიდველის 2020 წლის 27 მარტის N10 მმართველთა საბჭოს და მმართველთა საბჭოს წევრის გიორგი ამუზაშვილის 26.03.2020წ. N3652 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, მხარეები შევთანხმდით ურთიერთშორის და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2019 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული N60-7-119-5609 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „5.1
   „მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების ჩათვლით) უნდა უზრუნველყოს 2020 წლის 1 ივნისამდე. "
2. 2019 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული N60-7-219-5609 ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით
   „15.2

ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე „

3. 2019 წლის 20 დეკემბერს N60-7-219-5609 ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პირობა რჩება უცვლელი.
4. მხარეებს არ გააჩნიათ არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანის შედეგად.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 2019 წლის 20 დეკემბერს N60-7-219-5609 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნას მითითებული ხელშეკრულებისგან განცალკევებით ან/და გარეშე.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

„შემსყიდველი” სს ”საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”	„მიმწოდებელი“ შპს „გაგუ“
მმართველთა საბჭოს წევრი **დავით ვარდიაშვილი**	დირექტორი **ირაკლი გაგუა**

პატივისცემით,
დავით ვარდიაშვილი

მმართველთა საბჭოს წევრი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2020.03.31 11:50:41 +04'00'